დანართი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტოს) შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. თამბაქოს მოწევა - თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი პირველადი კვამლის ან ორთქლის შესუნთქვა.

2. თამბაქოს ნაწარმი - „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თამბაქოს ნაწარმი.

3. სააგენტოს შენობა-ნაგებობა – სააგენტოს საკუთრებაში ან/და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობა.

4. სააგენტოს ტერიტორია - სააგენტოს საკუთრებაში ან/და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეესტრში მითითებულ შესაბამის საზღვრებში.

5. თანამშრომელი - სააგენტოს საშტატო ან შტატგარეშე მოსამსახურე.

6. გარეშე პირი - ფიზიკური პირები, გარდა თანამშრომლისა.

მუხლი 3. თამბაქოს მოწევის და რეალიზაციის აკრძალვა/შეზღუდვა

1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია სააგენტოს შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, გარდა ამ მუხლის მე - 3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილებისა.

2. აკრძალულია სააგენტოს ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება.

3. თამბაქოს მოწევა დასაშვებია:

ა) სააგენტოს შენობა-ნაგებობების აივანზე, რომელსაც გააჩნია არანაკლებ 1/2 ღია სივრცე და მოწყობილია ადგილი თამბაქოს მოწევისთვის;

ბ) სააგენტოს ტერიტორიაზე – ღია სივრცეში, მხოლოდ იმ ადგილებში სადაც მოწყობილია ადგილი თამბაქოს მოწევისთვის, გარდა საგამოცდო მოედნებისა და პრაქტიკული საგამოცდო მოსაცდელებისა (კონსტრუქცია).

3. თამბაქოს მოსაწევი ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს საფერფლით ან/და სანაგვე ურნით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის დარღვევისათვის

1. თანამშრომლის მიერ ამ წესის დარღვევა შესაძლოა გახდეს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

2. გარეშე პირის მიერ ამ წესის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი ვალდებულია მოსთხოვოს დამრღვევ პირს თამბაქოს მოწევის შეწყვეტა, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის დატოვება.

მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ვალდებულებები

1. სააგენტოს ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტს დაევალოს:

ა. სააგენტოს შენობა-ნაგებობის ყველა შესასვლელსა და გასასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები (თამბაქოს მოწევის ამკრძალავი ნიშანი);

ბ. უზრუნველყოს თამბაქოს მოწევის ადგილის სანაგვე ურნით ან/და საფერფლით აღჭურვა.

2. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს: ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის, რუსთავის ცენტრალური ფილიალის (დეპარტამეტი), თბილისის ფილიალის, გორის მომსახურების ცენტრის, ხეითის ჯგუფის, თელავის მომსახურების ცენტრის, ახალციხის მომსახურების ცენტრის, ქუთაისის მომსახურების ცენტრის, საჩხერე-ამბროლაურის მომსახურების ცენტრის, ფოთის მომსახურების ცენტრის, ოზურგეთის მომსახურების ცენტრის, ზუგდიდის მომსახურების ცენტრის და ბათუმის მომსახურების ცენტრის უფროსებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დაევალოთ თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული დარღვევის კონტროლი.

3. თუ გამოვლინდა თანამშრომლის მიერ ამ წესის დარღვევის ფაქტი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი პირი, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეაგირების მიზნით აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს სააგენტოს ინსპექტირების სამმართველოს.